სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

ოდიში

1990
შაბათი
30
ივნისი
№78 (10315)
ფასი 8 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

საქალაქო და რაიონული საბჭოების გაერთიანებული მეორე სესია

26 ივნისს ჩატარდა სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის საქალაქო და რაიონული საბჭოების გაერთიანებული მეორე სესია, რომელსაც დეპუტატების გარდა ესწრებოდნენ საწარმოდაწესებულებათა ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სახოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები და ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაკები.

სესიამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქალაქო საბჭოს სამანდატო მუდმივი კომისიის ინფორმაცია № 21 საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევნების შედეგების შესახებ.

2. ორგანიზაციული საკითხები.

3. ზუგდიდში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში არსებული მდგომარეობისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

4. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე ინფორმაციით გამოვიდა სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ბ. ჯანაშია. მან სესიას გააცნო № 21 საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევნების შედეგები. აღნიშნულ ოლქში დეპუტატად არჩეულია საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გურამ იოსებიძე ძე გუნავა.

შემდეგ სესია შეუდგა ორგანიზაციული საკითხების განხილვას. ამ საკითხის ირგვლივ სესიაზე ინფორმაციით გამოვიდა სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. იზორია.

სესიამ ზუგდიდის საქალაქო და რაიონული საბჭოების ერთობლივი პრეზიდიუმის თავმჯდომარედ და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრად აირჩია გურამ იოსებიძე ძე გუნავა.

სესიამ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით დეპუტატი ოდიკ ბიხეილის ძე ჟუსილავა გაათავისუფლა ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივნის თანამდებობიდან.

ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივნად არჩეულ იქნა დეპუტატი ლარისა ბიორგის ასული ჟირია.

სესიამ შეიტანა ცვლილებები სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობაში.

სესიამ მოისმინა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ერთობლივი პრეზიდიუმის თავმჯდომარის დეპუტატ ბ. გუნავას მოხსენება ზუგდიდში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში არსებული მდგომარეობისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს რაიონის პროკურორმა, დეპუტატმა დ. კუხალეიშვილმა, ოპერაციულ-საწარმო სარემონტო-მექანიკური კომბინატის დირექტორმა, დეპუტატმა ა. ჟვიჟულორიამ, შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილების უფროსმა ლ. ჯოჯუამ, ინგირის სახოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. კაკულიამ, ჭკადუაშის კოლმეურნეობის მეჩაიემ ნ. ლაგვილავამ, № 14 საშუალო სკოლის დირექტორმა დეპუტატმა ზ. ღადუამ, სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. უუფუნიამ, ფაიფურის ქარხნის მუშამ, დეპუტატმა ც. ჩაკაბერიამ, ქალაქის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ დ. ზერიზია, წერეთლის ჭუჩის კომიტეტის თავმჯდომარემ ე. მოსიძემ, გაზეთ „ოდიშის" რედაქტორმა, დეპუტატმა ა. ჭანტურიამ.

სესიის დღის წესრიგის მეოთხე საკითხის ირგვლივ ინფორმაციით გამოვიდა სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. იზორია.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის საკავშირო-სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის ფილიალის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. თოდუამ, წარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ბ. ლომაიამ, საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ჯინჯოლავამ.

სესიის მუშაობა შეჯამა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების გაერთიანებული პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. გუნავამ.

სესიამ განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ღია წერილი
საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების პირველ ყრილობას

სულითა და გულით მივესალმებით საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების 1-ლი ყრილობის მოწვევას. გამოვთქვამთ იმედს და რწმენას, რომ საქართველოს პროფკავშირები გაამართლებენ სახელს—„დამოუკიდებელი პროფკავშირები"-სა, რომ ისინი იქნებიან მშრომელთა ინტერესების უანგარო და პირუთვნელი დამცველები და არა, მმართველი ბიუროკრატიის ან სკკპ-ის უსახო დანამატი.

ვიმედოვნებთ, რომ ეს წერილი წაკითხული იქნება ყრილობაზე, ამიტომ, რეგლამენტის დაცვის მიზნით, ვიქნებით უაღრესად लაკონიური.

გვინდა თქვენი ყურადღება შეგაჩეროთ ერთ საჭირბოროტო საკითხზე, რომელსაც ჩვენ, თუ არ მივაქციეთ ყურადღება, თვითონ შეგვახსენებს თავს და შესაძლოა მწარედაც.

კერძოდ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ მუშათა კატეგორიის გარკვეულ ნაწილს შვებულება ეძლევა 18 სამუშაო დღის ოდენობით, ხოლო ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, ადმინისტრაციას, გნებავთ—პროფკავშირის თავმჯდომარეს 24 სამუშაო დღის ოდენობით. პირადად ჩვენ მიგვაჩნია, რომ პრეტენზია, რომელმაც უკვე იჩინა თავი (პრეცედენტს ქარხანაში ადგილი მქონდა) სამართლიანია და მოითხოვს დროულ და დადებით გადაწყვეტას. გვჯერა, რომ ამ წინადადებას მომხრეები ყრილობის დელეგატებს შორისაც გამოუჩნდებიან.

გვინდა გავიხსენოთ მსახიობ მახარაძის ამასწინანდელი გამოსვლა (ტელევიზიით), როდესაც იგი ბატონ პრეზიდენტს პაროდირებდა: «... Если мы не отреаžируем то другие отреаžируют...».

ვუსურვებთ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

ბ. ჟარჩავა,
ქ. ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის პროფკომიტეტის თავმჯდომარე.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია

26 ივნისს ჩატარდა სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის რაიონული საბჭოს მე-16 სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ მოისმინა სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის დეპუტატ ი. კუტალიას ინფორმაცია სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა ჩატარდა ალტერნატიული წესით. დეპუტატების წინადადებით აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ ადგილზე დასახელებულ იქნა ოთხი კანდიდატურა, რომელიც შეტანილ იქნა დახურულ ფარულ კენჭისყრელ სიაში.

დახურული ფარული კენჭისყრის შედეგად სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეად არჩეულ იქნა დეპუტატი გონელი გალაქტიონის ძე იზორია, რომელიც ადრე სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ და საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ მუშაობდა.

სესიას ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ერთობლივი პრეზიდიუმის თავმჯდომარე, დეპუტატი ბ. გუნავა.

რაოდენობაც, ხარისხიც

სისხლსავსე, დროის შესატყვისი შრომითი თუ საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობს ფაიფურის ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივი. მეფაიფურეები ერთობლივად, შეთანაწყობილი ძალებით წყვეტენ პრობლემებს, რომლებიც თან სდევს საწარმოო პროცესებს, ჩვენს ყოველდღიურობას.

არაერთი მოწინავე უბანი და ქვეგანაყოფია ქარხანაში. მათ შორის თამამად შეიძლება დავასახელოთ მეორადი გამოწვის ჩამოცლის უბანი. აქ კარგი შრომის მაგალითს იძლევა ის ცელა, რომელსაც მზია მაქაცარია ხელმძღვანელობს. თავად ცვლის ოსტატი მზია მაქაცარია 6 წელზე მეტია რაც ქარხანაში მუშაობს და ზედმიწევნით ფლობს მეფაიფურის პროფესიას, არის კარგი ორგანიზატორი, ზნეკეთილი და ავტორიტეტული. ცვლის ხელმძღვანელს ერთგულად უდგანან მხარში და თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ ცვლის წევრები: ქეთინო გულორდავა, ეუქუნა პერსელიძე, თამრო ჭკადუა, ნივალი გვასალია, რაისა მეძველიანი და სხვები.

ჩამოცლის უბნის ყოველთვიური გეგმა 527 ათასი ერთეული პროდუქციით განისაზღვრება. ეს არცთუ იოლი საქმეა, და, ამასთან, სათუთი. ჩამოცლის პროცესში მუშის უგულისყურობამ შეიძლება ნაწარმს დაუკარგოს სასაქონლო სახე. ეს კი იგივეა რაც ზარალი და წყალში ჩაყრილი შრომა. ამიტომაც გულისყურით ეკიდებიან საქმეს აქაური გამრჯე ადამიანები. რაოდენობასთან ერთად ხარისხი,—აი მათი სამოქმედო დევიზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ავამაღლოთ კონკურენტუნარიანობა

ჯარის კანონმდებლობის შესაბამისად აპრილის თვიდან რაიონის ცხრა სათაო ჩაის ფაბრიკა—ზუგდიდის № 2, ცაიშის ზედაეწერის, ინგირის, ნარაზენის ორჯონიკიძის, კახათის, დარჩელის, ახალსოფლის და ოთხი ჩაის მიკროფაბრიკა—ონარიის რუხის, ტყაის, ინგირის—მათი ეე შრომითი კოლექტივების გადაწყვეტილებით გადაყვანილ იქნა საჯარო ურთიერთობაზე.

საჯარო ხელშეკრულებით, რომელიც დადებულია ფაბრიკებსა და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებას შორის, საჯარო კოლექტივებს გადაეცა საწარმოო შენობა-ნაგებობანი, ტექნიკა მოწყობილობა, სხვა ძირითადი ფონდები. ფაქტიურად ისინი არიან მათი მეპატრონე, გაფართოვდა მათი უფლებები და შრომის ანაზღაურების სიდიდე პირდაპირ დამოკიდებულებაშია საწარმოს მუშაობის საბოლოო შედეგებთან.

ამიერიდან ფაბრიკების შრომითი კოლექტივები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ შრომის ანაზღაურების ფორმებსა და სისტემას, სამუშაო დღის ხანგრძლივობას, მუშაობის ცვლიანობას, წარმოებული პროდუქციის ნომენკლატურას, მუშაკთა საერთო რიცხოვნობას, მათ პროფესიულ და კვალიფიციურ მომზადებას, ამტკიცებენ შტატებს და ა. შ.

პროდუქციის რეალიზაციიდან და მომსახურებიდან მიღებული ამონაგებით ნაზღაურდება მატერიალური და მასთან გათანაბრებული დანახარჯები, შეაქვთ გადასახადი ბიუჯეტში, ჯარის ქირა, სადაზღვევო გადასახადები, ბუნებრივი და შრომითი რესურსების ქირა, ისტუმრებენ კრედიტის პროცენტებს. დარჩენილი მოგება მთლიანად გადადის საჯარო საწარმოს განკარგულებაში, ითვლება როგორც სამეურნეო-ანგარიშებრივი შემოსავალი და საწარმო დამოუკიდებლად განსაზღვრავს მისი გამოყენების მიმართულებებს ეკონომიკური მიზანშეწონილობის პრინციპებიდან გამომდინარე.

რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით რეგისტრაციაშია გატარებული ყველა მოჯარეთა ორგანიზაციის წესდება, შემუშავებულია დებულებები, ეკონომიკური და სხვა საჭირო ნორმატიული აქტები. საჯარო კოლექტივებში ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების შექმნის მიზნით რაისაბჭოს აღმასკომის წარდგინების საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის 29 მაისის დადგენილებით ამ საწარმოებს ჩამოუწერა მთავრობის გადაწყვეტილებით წინა წლებში განვადებული ბანკის მოკლევადიანი სესხები, რომელმაც ყველა ფაბრიკის მიხედვით შეადგინა 6 მილიონ 629 ათასი მანეთი.

ეს რაც შეეხება საკითხის ორგანიზაციულ მხარეს, რომელიც მხოლოდ მუშაობის დასაწყისია. ახლა მთავარია პრაქტიკულად განხორციელდეს ყველა ის მოთხოვნები, რომელსაც წესდება უყენებს მოჯარეთა ორგანიზაციას.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მეურნეობრიობის ამ ახალი ფორმის განმტკიცება, საჯარო ურთიერთობის დანერგვა თითოეული ფაბრიკის ყველა რგოლში და წარმოების საბოლოო შედეგებით მშრომელთა უშუალოდ დაინტერესება, რათა თავიდან ავიცილოთ საჯარო ურთიერთობის ხუთი წლის ვადამდე მაინც შეწყვეტა-ჩაშლა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მთავრობის მიერ ისევ მოხდება ჩამოწერილი სესხების აღდგენა განვადებული სესხების ანგარიშზე.

რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელების პირობებში როგორც ვიცით შემოთავაზებულია წარმოებითი ურთიერთობების რამდენიმე ვარიანტი. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს მოცემული კონკრეტული პირობების გათვალისწინებით წარმოების ორგანიზაციის თუ რომელ ფორმას აირჩევს შრომითი კოლექტივი.

ვინაიდან ჩაის პირველადი ფაბრიკების შრომითმა კოლექტივებმა ერთ-ერთი ასეთი პერსპექტიული ფორმა იჯარა აირჩიეს, ახლა მას უნდა მოხმარდეს ყველაფერი. ახალი წარმოებითი ურთიერთობის განსახორციელებლად მარტო სურვილი არაა საკმარისი. საჭიროა ღრმა ინჟინრული, აგრონომიული, ეკონომიკური და ა. შ. ცოდნა, დამოუკიდებლად აზროვნება. არ არის საკვირველი, რომ მუშაობის ახალ პირობებში ბევრი სპეციალისტი ვერ არის მოწოდების სიმაღლეზე. მიზეზი აქ სხვადასხვაა. ზოგი მათგანი პროფესიონალურად ვერ ფლობს კიდეც. ცხადია, ასეთ პირობებში გამომუშავებული პროდუქციის ასორტიმენტის მიხედვით ხარისხის მაჩვენებელი მხოლოდ პირობითი შეიძლება იყოს და იგი არასდროს არ იქნება კონკურენტუნარიანი, რაც განსაკუთრებით იჯარის პირობებში გამოიღებს თავის უარყოფით შედეგებს.

მაგრამ მთავარი პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში ვერ წყდება, ისევ დგას ფაბრიკების წინაშე და ამუხრუჭებს მათი მუშაობის ეფექტიანობას. ამ პრობლემას პირველ რიგში ქმნის ჩაის ნედლეულის ხარისხი, რომელიც მიუხედავად დიდი მეცადინეობისა, კი არ უმჯობესდება, არამედ სამწუხაროდ, უარესდება ყოველ

აღვადგინოთ სიმართლე

ᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲙᲣᲙᲣᲠᲘ ᲔᲡᲐᲙᲘᲐ

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნებული წერილით გვატყობინებდა, რომ ფოთის ძველი ციხესიმაგრის გადარჩენილ კოშკს შემორჩა წარწერა, რომელიც ამახინჯებს სინამდვილეს. კოშკის წარწერის მიხედვით 1828 წლის 15 ივლისს „რუსთა მხედრობამ" აიღო ფოთის ციხესიმაგრე და გაათავისუფლა ქალაქი თურქი დამპყრობლებისაგან. მაგრამ ეს ასე არ იყო.

თუ ძველ ისტორიას გავიხსენებთ, ჯერ კიდევ 1640 წელს დასავლეთ საქართველოს ლაშქარმა დაამარცხა თურქები და იერიშით აიღო ფოთის ციხესიმაგრე. 1807 და 1809 წლებშიც თურქების დამარცხებაში დიდი როლი შეასრულეს ადგილობრივმა ძალებმა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ სამეგრელოგურიის მთავრებმა, დასავლეთ საქართველოს ბევრმა ოავადმა და საეკლესიო მსახურებმა მთავრობის ჯილდოები მიიღეს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სამეგრელოს დედოფლის ნინოს ს ქციელი, რომელიც ხმლით ხელში შეიერა ფოთის ციხე-გალავანში და სხვებთან ერთად მამაცურად იბრძოდა. მას მთავრობამ მაღალი პენსია დაუნიშნა.

ფოთის საბოლოო გათავისუფლება თურქი ოკუპანტებისაგან 1828 წლის 15 ივლისს მოხდა, არა რუსთა მხედრობის მიერ, არამედ რუს-ქართველთა გაერთიანებული ძალებით. ამ შემთხვევაში იმდენად თვალსაჩინო იყო ადგილობრივთა მონაწილეობა, რომ მთავრობამ საპატიო დროშა უბოძა სამეგრელოს მოსახლეობას. ამიტომ საკვირველია კ. ესაკია, როცა ამ წარწერის შეცვლას და სიმართლის აღდგენას მოითხოვს.

იგივე მდგომარეობა იყო ზუგდიდის რაიონის სოფ. კოკში მდგარი ობელისკის წარწერაშიც, „ნალიმას" ველზე.

ობელისკი წარწერის მიხედვით ეძღვნებოდა სახელოვან წინაპრებს, რომლებიც „ულად დაეცნენ ენგურის ნაპირას 1855 წლის 25 ოქტომბრის ბრძოლებში, მაგრამ აქედან არ ჩანდა რა ძალები იბრძოდნენ მტრების წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, 1855 წლის 25 ოქტომბერს ენგურის ნაპირებთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოში შემოჭრილი თურქი ოკუპანტების წინააღმდეგ, რომელსაც ომერ-ფაშა მეთაურობდა. კავკასიის მაშინდელმა სარდლობამ მტრის 35-40 ათასიან არმიას მხოლოდ 10 ათასი მებრძოლი დაუპირისპირა. ძალთა ამგვარი უთანასწორობის გამო შეძლო ომერ-ფაშამ გადმოელახა ენგური (თუმცა დიდი მსხვერპლის ფასად) და დაეკავებინა სამეგრელოს ტერიტორია, მაგრამ დაშრცხებულს აქედან მალე მოუხდა გაქცევა.

10 ათასი მებრძოლიდან, რომელიც თურქეთის არმიას დაუპირისპირდა, ნახევარი რეგულარული ჯარის ნაწილებისაგან შედგებოდა, მეორე ნახევარი—ადგილობრივი სახალხო მოლაშქრეებისაგან, დასავლეთ საქართველოს მილიციის რაზმებისაგან (იმპერიას ამ ბრძოლაში თავისი მიზნები ჰქონდა, ქართველები საკუთარ მიწა-წყალს იცავდნენ).

ომერ-ფაშას წინააღმდეგ ჯარისა და მილიციის რაზმებს ქართველი გენერალი ივანე მუხრანბატონი (ბაგრატიონ მუხრანსკი) ხელმძღვანელობდა. ხაიმარ ოპერაციებში თავი გამოიჩინეს თავადებმა დადიანებმა, შერვაშიძეებმა, წერეთლებმა, გლეხმა ეხვაიამ და სხვებმა. ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა არც თუ ცოტა მეთაური (იოსელიანი, ზვანბაია, აგიაშვილი, კობელევი, რუბცოვი) და რიგითი მებრძოლი, მაგრამ მტრის დანაკლისი, როგორც კ. ბოროზდინი წერს, ხუთჯერ მეტი იყო

განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო გრიგოლ ლევანის ძე დადიანის დამსახურება მტრის წინააღმდეგ მებრძოლი რაზმებისა და პარტიზანული ჯგუფების შექმნასა და მათ აქტიურ ოპერაციებში. იმის აღნიშვნაც იკმარებდა, რომ მისი მეთაურობით განხორციელდა ზუგდიდში თურქთა გარნიზონის ამოწყვეტა.

რუსული პოლკის მიერ 1913 წელს დადგმულ ობელისკზე არსებული რუსული წარწერა მნახველს აფიქრებინებდა, რომ ენგურის ნაპირად მომხდარ ბრძოლებში მხოლოდ სამხედროები მონაწილეობდნენ. ვინც ამ ბრძოლის ისტორიას იცნობდა უკმაყოფილო რჩებოდა წარწერის უსამართლობით.

დღეისათვის და უფრო ადრეც წარწერის გაუგებრობა და უსამართლობა გამოსწორებულია. ამ რამდენიმე წლის წინათ, მას შემდეგ, რაც ჩვენი ბროშურა გამოიცა („ბრძოლა ენგურის ნაპირებთან") ჩვენ შევეცადეთ აღვადგინა ობელისკის დანიშნულების სისწორე. მის კედლებში ჩადგმულ იქნა მარმარილოს ფილები და გაკეთდა ორი წარწერა ქართულ ენაზე, რომელიც მიუთითებს მტრის წინააღმდეგ მოქმედი ძალების შემადგენლობაზე და სწორად ასახავს ობელისკის დანიშნულებას.

ᲛᲐᲛᲐᲜᲗᲘ ᲞᲐᲞᲚᲝᲕᲘᲩᲘ,

ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის—ისტორიული მუზეუმის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

საქმის კაცი

მისი გაცნობის საბაბი კურიოზული შემთხვევა გახდა, რომელიც მუდამ თან სდევს გაზეთის ყოველდღიურ ცხოვრებას.

შოთა ხორავა 64 წლის გახლავთ, როგორც იტყვიან, ჭარმაგ კაცად ითვლება, ბევრი უნახავს, გაუგონია. წუთისოფლის ავიც და კარგიც უგემნია, იცის სიცოცხლის ფასი, რომელსაც ყოველთვის როდი აქვს ტკბილი გემო.

ბატონ შოთას ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ბიოგრაფია აქვს. გლეხის ოჯახში გაზრდილს შრომის სიყვარული და მუყაითობა ბავშვობიდანვე დაჰყვა. შრომითი ნათლობა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მიუღია. იქ დაუფლებია ელექტრომონტიორის რთულ პროფესიას, რომელსაც მთელი შეგნებული ცხოვრება პირნათლად ემსახურა. უყვარს თავისი საქმე. 1958 წლის 5 მაისიდან კომბინატის შრომითი კოლექტივის წევრია. ჯერ ქალაქდის წარმოების საამქროში ცვლის ელექტრომონტიორად მუშაობდა. დოჯახების შემდეგ მექანიკოსთა უბანში გადმოვიდა საცხოვრებლად, ხოლო 1984 წლიდან დღემდე ელექტროგანყოფილების უფროსი ელექტრომონტიორია, ოთხი შვილის მამამა და ხუთი შვილიშვილის ბაბუას საფიქრალი და სადარდებელიც აქვს. ორი შვილი კომბინატში მუშაობს. შვილებმაც იციან პატიოსანი შრომის ყადრი. უყურებს თავის განვლილ ცხოვრებას ნახევარ საუკუნეს გადაცილებული კაცი. უყვარს წარსულზე ფიქრი: „ჩემი ასაკის კაცისათვის ძნელია ერთბაშად ყველაფერზე ხაზის გადახმა. ყოველივე ახალს, წანახს და განცდილს ადარებ, მოვლენებსა და საგნებს შორის მუდამ საერთოს ეძებ. მაინც რა იყო ჩვენი ცხოვრება? მე პოლიტიკაში ცუდად ვერკვევი, მაგრამ კარგად მესმის, თუ როგორ შეილახა და ლაფის ნულამდე დავიდა ქართველი კაცის ღირსება. ახლა ვიკნობით ნოე ჟორდანიას ნაშრომებს, არ-

მაინც რა იყო ჩვენი ცხოვრება?

ადა ჩვენს ყმაწვილკაცობაში მათი არსებობაც არ ვიცოდით. რა არის ეს? ინფორირება ისტორიული სიმართლისა და მეტი არაფერი. 26 მაისი—ეს თარიღიც ახლახან ამოიშანთა ქართველი კაცის გულის ფიცარზე. ისტორია თავისი გზით მიდის. ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. მე ოპტიმისტი ვარ. მწამს ახალგაზრდული შემართებისა და მათი გამარჯვების მჯერა“.

ბატონი შოთა ბევრს ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ გადაუჩვია ქართველი კაცი მიწას, შრომას, გაზარმაცდა. ადამიანს არ უნდა ფიზიკური დატვირთვა, გამოსავალი კი მხოლოდ შრომაშია. მამაპაპურ ადათს შეურცხვენლად უნდა მივდიოთ, თუ დავეუფლებით ქართული მიწის ჯადოსა და საიდუმლოებას, ყველა ბარიერი დაძლეული იქნება —ამბობს იგი.

ბატონი შოთა ახლაც ლამეს ათენებს და თავის სამუშაოს უზის, როგორც თვითონ ხუმრობით იტყვის—კვებავს კომბინატს ელექტროენერგიით. ცხოვრების ყველა ხვეულში ჩახედული ადამიანი მაინც ბრგედ არის, ასე ჭგონია ყმაწვილკაცობა დაუბრუნებია და პირველ ჭაღარას უყურებს. ახსენდება, იგონებს, მსჯელობს,— როგორ სჯობია, საქმეს როგორ წაადგება... მოყვასის დანახვაზე თავს მოწიწებით ხრის და დარბაისლურად ესალმება: იცოცხლე, გენაცვალე!

ამ ჩვეულებრივ ფრაზაში ყველაფერია ჩაქსოვილი—სიხარული, სიყვარული, პატივისცემა, იმედი და რწმენა... რწმენა ადამიანთან ხელმეორედ შეხვედრისა და სიცოცხლის გაგრძელებისა.

ხათუნა ჯიქია,

მრავალტირაჟიან გაზეთ „ენგურის მუშას“ კორესპონდენტი.

ოდესაც ... ...

ელიგა

კვლავ სულში იწვის ჩემს ღმერთებთან შესათხოვარი,
მატყვია მხრებზე ყრუ ნაჭდევი—
ცის სახსოვარი,
მივდივარ ჩემთვის—უსაშველოდ ბედის მორჩილი,
მიკვირს, მიქცეულ ბავშვობაზე
ასე რომ ვჩივი!...
ერთი ნაბიჯი რჩება უკვე,
ნაბიჯი ერთი
და უხმო ზაკვას — დაფნის გვირგვინს
დაგიგდებ ფერხთით.
მოგეახლები ყვავილების თეთრი ველიდან,
სად დედაჩემი —სიზმრის ქალი
ირმებს წველიდა.
სადაც ყოველი მიწიერი—ცამდე მაღალი
დილის გალობას აღავლენდა
ლოცვის კაწკალით.
გარბოდა ველზე თეთრი გოგო,
თეთრი ელიტა,
მიწის სიმღერა ამოჰყავდა
ხობბის ყელიდან...
...კვლავ სულში იწვის ჩემს ღმერთებთან შესათხოვარი...

* * *

სხვამ დაკლა ჩემი საკლავი,
მზით მოითბუნა გავა.
ჩემს სანთლებს სხვა ელოდება,
მე—გალმა ნაპირს ვდგავარ.
გადაჭეგილი ტოტები
ნატვრის ხეს ეტლად უჩანს,
ვერ ვუმტრე ავად მომზირალს
ღმერთს ვერ გადვუდექ ურჩად.
ვერც სადღეობო ყვავილებს
ვაკმიე სუნთქვა შენი,
ჩუმად ვტიროდი სატირალს
ათასი რამის მთმენი.
სხვამ დაკლა ჩემი საკლავი,
მზით მოითბუნა გავა.
მე სხვა ვარ სიძულვილისთვის,
მე უსაშველოდ სხვა ვარ.

* * *

აწრიალებს ქარი ფოთლებს
მამის ნახათუთევ ბაღში.
ხან აიკრავს გუდა - ნაბადს,
ხან ჩალისფერ კარავს გაშლის.
მშობელ კერის სტუმარი ვარ,
ფიქრში ვკემსავ ხსოვნის მანდილს.
შენ იყავი სიყვარულო
ჩემს ბავშვობას რომ უყვარდი?!
...საკვამურში კვამლი ცეკვავს,
ცა მიდენის ღრუბლის ფარას.
სიზმარია ყოველივე,
ყოველივემ ჩაიარა?!

ესკიზი ხვალისთვის

დროს ისევ უშურველად ვასაჩუქრებთ,
სანაცვლოდ არც არას ველით.
მიეპირავს გარდაცვლილი ფოთოლი,
წნორივით მიცახცახებს ხელი.
მანდ, სადმე ღრუბლებში მამყოფა,
მაღლით ვართ მართალნი და სწორნი,
თორემ აქ ტვირთივით გვკიდია
ეკალი ცოდვის და ჭორის.
მიწასაც გაძლება ხომ უნდა
(სხვა რაღა აიტანდა ამდენს),—
...ყელგამოკრილი გვირილები
ჩამდგარ კელაპტრებს გავდნენ.

ლამზირა ფირცხალავა.

მეცნიერება — წარმოებას

სტევია ტკბილი ბალახია

დიაბეტით დაავადებულთათვის უგნებელი შაქრის გამომუშავება შეიძლება სტევიასაგან— მრავალწლიანი ბალახისაგან, რომელიც ტროპიკულ ქვეყნებში იზრდება. საქართველოში სტევიის პირველი პლანტაცია, რომლის მწვანე ფოთლის მასა ძირითადი წედლეულია უჩვეულო შაქრის მისაღებად, გაშენდა ლანჩხუთის რაიონის ღრმა ღელეს საბჭოთა მეურნეობაში.

ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მეცნიერებმა შეიმუშავეს ადგილობრივ პირობებში სტევიის მოყვანის, მისგან პროდუქციის მიღების ტექნოლოგია, რომელსაც წარმატებით იყენებენ შაქრის მაგიერ მცირეკალორიან და დიეტურ კერძებში, აგრეთვე ჩაისა და სხვადასხვა უალკოჰოლო სასმელების დასამზადებლად.

სტევია მომავლის კულტურაა, —აღნიშნავს გაერთიანების დირექტორი რ. ჯინჯოლია და დღესვე თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კოლხეთის დაბლობი შესანიშნავი ბაზაა მისი ფართოდ გავრცელებისა და სამრეწველო გამოყენებისათვის.

(საქ. ცორმი).

სასამართლო დარბაზიდან

ამჯერად კი ჯარიმა...

სოფელ ინგირში მცხოვრები, ზუგდიდის წყალკანალის სამართველოს გამწმენდ ნაგებობაში ოპერატორად მომუშავე ნუგზარ გაბესკირია მთვრალ მდგომარეობაში მართავდა ავტომანქანას, რისთვისაც მას შინაგან საქმეთა ზუგდიდის რაიგანყოფილების სადისკვალიფიკაციო კომისიამ 1988 წლის 12 ხექტემბერს სამი წლით ჩამოართვა მართვის უფლება.

მიუხედავად აღნიშნული აკრძალვისა, ნუგზარ გაბისკირია მიმდინარე წლის 10 აპრილს როსტოვ-ბაქოს ავტომაგისტრალზე მართავდა ძმის კუთვნილ ავტომანქანას. გზის 128-ე კილომეტრზე იგი გაჩერებულ იქნა საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორის მიერ და რადგან ავტომანქანას სათანადო მოწმობის გარეშე მართავდა, დარღვევისათვის შეუდგინეს სათანადო აქტი.

ამ დღეებში ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმე და ნუგზარ გაბისკირიას განუსაზღვრა 200 მანეთი ჯარიმის გადახდა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ბანცხარ-ბანცხარ

ბუნებრივი გაზით მოსარგებლე აბონენტთა საყურადღებოდ!

ტრესტ „ზუგდიდგაზის“ ადმინისტრაცია მოგმართავთ, ინდივიდუალური გაზით გამთბობი („მჩ“, „აოგ—ნ“ „აგვ“) ტიპის ხელსაწყოებით მოსარგებლე აბონენტებს, რომ გათბობის სეზონის დაწყებამდე აუცილებელია ჩაუტარდეს მათ ტექნიკური დათვალიერება და რემონტი. იმ აბონენტებს, რომელთაც არა აქვთ მოწყობილი გამთბობი ღუმელისათვის სათავსო პროექტში გათვალისწინებული ნორმების დაცვით და არ ექნებათ წარმოდგენილი საკვამლე და სავენტილაციო არხის ვარგისიანობის აქტები შეუწყდებათ გაზის მიწოდება.

საკვამლე და სავენტილაციო არხების ვარგისიანობაზე აქტების გაცემას აწარმოებს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. მისამართი: მარჯანიშვილის ქ. 29.

ტრესტის ადმინისტრაცია გთხოვთ გათბობის სეზონის დაწყებამდე მოგვაროთ ზემოთ აღნიშნული საკითხები. წინააღმდეგ შემთხვევაში გამთბობი ღუმელები არ ჩაირთვება.

ტრესტ „ზუგდიდგაზის“ ადმინისტრაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ეროვნული სახეობები სულ უფრო ჰეტი ყურადღებითა გარემოსილი. სწორედ ეროვნული სპორტის პოპულარიზაციის მიზნით ცალკე ტარდება სპორტსაზოგადოება „შევარდნის“ რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელშიც შედის ლელობურთი, ცხენოსნობა, ლახტი, სიმძიმეების აწევა, ქართული ჭიდაობა, მშვილდოსნობა, ჭოკით სიგრძეზე ხტომა. ამ დღეებში ზუგდიდის პროფსპორტის რაისაბჭომ უმასპინძლა რესპუბლიკის სხვადასხვა ზონებში გამარჯვებულ რვა ფინალისტს. ჭოკის სიგრძეზე მხტომელი 64 სპორტსმენი ჩაება შეჯიბრებაში. გუნდური პირველი ადგილი არავის დაუთმეს აჭარლებმა, მეორეზე ლანჩხუთელები გამოვიდნენ, მესამე ადგილი ზუგდიდის რაიონის ნაკრებმა დაიპაკუთრა.

ამჯერად მესამე ადგილი

პირად პირველობაზე უმცროსი ასაკის სპორტსმენებს შორის ისევ აჭარელი სპორტსმენები აღმოჩნდნენ გამარჯვებულები. პირველ -მეორე ადგილები რ. თიკანაძემ და მ. დარჩაძემ გაინაწილეს, მესამე კი ზუგდიდელი სპორსმენი ზურაბ სართანია იყო. უფროს ასაკშიც აჭარიდან ჩამოსულმა სტუმრებმა იმარჯვეს, დ. დუმბაძემ და ტ. მამულაძემ არავის დაუთმეს პირველობა. მესამე ადგილი ისევ ჩვენს თანამემამულეს ედისონ სართანიას ხვდა წილად.

უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრება შესანიშნავად იყო ორგანიზებული და მაღალ სპორტულ დონეზე მიმდინარეობდა. მას უძღვებოდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გ. ჭეჟია, რომელსაც ეხმარებოდა ქალაქის სპორტ საზოგადოება „შევარდნის“ ინსტრუქტორი ნანა გოგინავა.

რუსიკო ჯიქია,
შეჯიბრების მთავარი მდივანი.

ჭაბუკ ფეხბურთელთა წარმატება

14-21 ივნისს ზუგდიდში ჩატარდა საქართველოს სპორტ საზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობა ფეხბურთში 1974 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, სოხუმის, ზუგდიდის გუნდების მონაწილეობით. გათამაშებაში, რომელიც ჩატარდა წრიული სისტემით—ერთწრად, პირველი ადგილი დაიკავა თბილისის გუნდმა (მწვრთნელი გ. ლომაძე), მეორე ადგილზე გამოვიდა ზუგდიდის გუნდი (მწვრთნელი გ. კალანდია), ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდათ ბათუმელ ჭაბუკ ფეხბურთელებს (მწვრთნელი ტ. ქაშმარია).

გათამაშებაში დაწესებული პრიზები გადაეცათ: საუკეთესო მეკარის—გელა ტეპლოვს (სოხუმი), დამცველის —გია გვაზავას (თბილისი), ნახევარდამცველის—შალვა ბიბილაშვილს (ქუთაისი), თავდამსხმელის —ლევან ხომერიკს (ბათუმი); საუკეთესო მოთამაშისა და ბომბარდირის პრიზები გადაეცა ზუგდიდელ ნიკოლაძეანიას.

ჯ. ბოგვია,
გათამაშების მთავარი მსაჯი.

რედაქტორი
აკ. ჭანტურია.

მეუღლე მელენტი, შვილები: დარეჯანი, მელანო, გოგი, გიგლა, რძლები: მზევი, ნინელი. სიძეები დემური შონია, არჩიკო გოგოხია, შვილიშვილები ქეთინო, დათო შონიები, ლალი, ბეჟანი, ბესიკი, ელენა გოგოხიები, გოგა. ცირა, ნანო, ვიგა სამუშაოები, მული რაიჩქა, მულიშვილები ზურაბი. ფრიდონი, იზოლდა ქობალიები იუწყებიან

მანია მახახ ასულ ქუხილავა-სამუშიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30 ივნისს, 1, 2 ივლისს. დაკრძალვა 3 ივლისს სოფელ ლიაში. (წალენჯიხის რაიონი).

შვილები: სულიკო, ბედიშა, ლია, ნინელი, ჯამბული, სოსო, შვილიშვილები: თინათინი, ზვიადი, ზაზა, ბადრი. თემური. თამუნა. რძალი ანა ხვიჩია. სიძეები: მიშა ჯოლოგუა, ბონდო აფაქიძე. და თამარი, მული ნუცა, მულიშვილები: ნატო, მზია, მზეგანარი, მანანა. ზურაბი გრიგოლიები, დისწულები ქუჩუჩი, ჭორა ჩიტაიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეუფუნა მანიჩას ასული ესართია-ალანია.

პანაშვიდი 30 ივნისს. 2 ივლისს 7 საათზე. დაკრძალვა 3 ივლისს 6 საათზე, ობუჯში (წალენჯიხის რაიონი).

ალექსანდრე სოლომონის ძე სორდიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30 ივნისს, 1. 2 ივლისს. დაკრძალვა 3 ივლისს 18 საათზე სოფ ორულში.

ლიანა ლეოს ასულ ქვარცხავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3 ივლისს. გამოსვენება ქ. თბილისი, მშვიდობის გამზირი 10, ბინა 16, 16 საათზე.

ნინო ვლადიმერის ასულ კორინთელი-ზაქარაიას

გარდაცვლებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ალეკსანდრე ალექსანდრეს ძე ბოლქვაძეს

ბოლქვაძეს. ალექსანდრეს ძე. ბოლქვაძეს. ალექსანდრეს ძე. ბოლქვაძეს. ალექსანდრეს ძე.